არქიტექტურულ–დიზაინერული
სტუდია
“ბაზისი XXI”

საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ.№63-ა
ტელ. (+995 32) 295 66 63
e-mail: bazisi-xxi@yahoo.com
№ 48/12

architect-design
studio
“BAZISI XXI”

63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 599) 77 21 77
e-mail: bazisi-xxi@yahoo.com
„09“ ოქტომბერი 2012წ.

სპეციალური კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, ჩოლოყაშვილის ქ. №53-ში, საკადასტრო კოდი № 01. 17. 14. 001/194 მდებარე შ.პ.ს. „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“-ს (ყოფ. №95 საჯარო სკოლა) შენობების ტექნიკური მდგომარეობისა და რეკონსტრუქციის (დემონტაჟი, მიშენება) შესაძლებლობის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობებს, მათი ტექნიკური მდგომარეობისა და რეკონსტრუქციის (დემონტაჟი, მიშენება) შესაძლებლობის დასადგენად.

ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. №53-ში, საკადასტრო ერთეულზე ნაკვ№001/194 განთავსებულია 5 შენობა-ნაგებობა.

შენობა №01/2 წარმოადგენს 2სართულიან ნაგებობას, სარდაფის გარეშე. კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა მზიდკედლებიანია. მზიდი კედლები აგურის წყობისაა, კირის ხსნარზე, სისქით 80სმ; 70სმ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კოჭებზე, ხდურარები კარ-ფანჯრების თავზე აგურის თაღოვანი ტიპისაა. სახურავი ქანობიანია, ხის კოჭებზე, თუნუქის საფარით. შიდა ეზოს მხარეს (სამხრეთ ნაწილში) შენობას გააჩნია ხის შემინული დერეფანი ორივე სართულზე. შენობის ვიზუალური გამოკვლევის შედეგად შეინიშნება გამჭოლი ბზარები ხდურარების უმეტეს ნაწილში; ჯდენითი დეფორმაციებისაგან განვითარებული ბზარები აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს მდებარე გვერდითა მზიდ კედლებში; ხის შემინული დერეფნები ამორტიზირებულია.

ნაგებობის არსებული ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მისი ექსპლუატაცია გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებამდე დაუშვებელია.

შენობა №02/1 წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, სარდაფის გარეშე. კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა მზიდკედლებიანია. მზიდი კედლები აგურის წყობისაა, ქვიშა-ცემენტის ხსნარზე, სისქით 40სმ. გადახურვა და სახურავი შესრულებულია ხის კოჭებზე, ხდურარები კარ-ფანჯრების თავზე ხისაა, ნაგებობას არ გააჩნია რკ/ბეტონის სარტყელი.

შენობა №03/1 წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, იგი მიშენებულია ძირითად შენობაზე (№01/2) კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა ხის კარკასული ტიპისაა, მისი მზიდი კონსტრუქციები ამორტიზირებულია.

შენობა №04/1 და №05/1 ერთსართულიანი ნაგებობებია, დანიშნულებით წარმოადგენენ საქვაბეს.

პროექტი ითვალისწინებს:

ძირითად შენობა-ნაგებობაში (№ 01/2) შიდა რეკონსტრუქციას ტიხრების გადაადგილებით და დამატებით; ხის შემინული დერეფნების მოხსნას და აღდგენას ლითონის ან რკ/ბეტონის კარკასში;

შენობა №02/1-სა და №03/1-ის დემონტაჟს, მათ ნაცვლად ახალი, ორსართულიანი ნაგებობების აშენებას.

შენობა №04/1-ის და №05/1-ის ცვლილებები გათვალისწინებული არ არის.

ზემოთაღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

– ძირითად შენობა №01/2-ში დაზიანებული ხდურარები გაძლიერდეს ფოლადის კუთხოვანებით; დასავლეთის და აღმოსავლეთის მხარეს მდებარე გვერდითა მზიდ კედლებში, ჯდენითი დეფორმაციებისაგან დაზიანებული უბნები გაძლიერდეს რკ/ბეტონის პერანგით; ხის ორსართულიანი შემინული გალერეა (დერეფანი) დაიშალოს, აღდგენა მოხდეს რკ/ბეტონის ან ლითონის კარკასში.
– შენობა №02/1 დაიშალოს, ხალი ნაგებობის კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილი იქნას რკ/ბეტონის კარკასში.
– შენობა №03/1 დაიშალოს, მიშენება განხორციელდეს რკ/ბეტონის კარკასში.

დასკვნა:

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ს ქ.თბილისში, სექტორი-ისანი, ჩოლოყაშვილის ქ. №53-ში, საკადასტრო კოდი№ 01.17.14.001/194 მდებარე შ.პ.ს. „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“-ს (ყოფ. №95 საჯარო სკოლა) შენობების რეკონსტრუქცია (დემონტაჟი, მიშენება შიდა გადაგეგმარება) შესაძლებლად მიაჩნია ზემოთჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი კონსტრუქციული ნახაზების მიხედვით.

შენობა №01/2-ის უსაფრთხო ექსპლუატაცია და ყოველგვარი სასწავლო–საგანმანათლებლო საქმიანობა დაუშვებელია ნაგებობის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებამდე.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
გენ. დირექტორი /ი. ცერცვაძე/

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
ექსპერტი–კონსტრუქტორი /ვ. ჯაფარიძე/

შ.პ.ს. საპროექტო **L.T.D. projecting**